მინდობილობა

საქართველო, ქ. თბილისი

22.07.2013 წელი

შპს "ღები" (ს/კ 201943175) წარმომადგენელი მისი დირექტორის ფრიდონ გოგრიჭიანის სახით, (შემდგომში – "მარწმუნებელი") ანიჭებს ქვემოთ ასახულ შემდეგ უფლებამოსილებებს შპს **Retail Group Georgia**-ს ს/კ **404399236** (შემდგომში – რწმუნებული) მესამე პირებზე გადანდობის უფლებით.

1. რწმუნებულს უფლება აქვს წარადგინოს მარწმუნებელი ქ.თბილისის მერიასა და მის სტრუქტურულ ერთეულებში.
2. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით განახორციელოს სხვადასხვა სახის სამშენებლო/სარეკონსტრუქციო ნებართვების/შეთანხმების მოპოვება.
3. რწმუნებულს უფლება აქვს მარწმუნებლის სახელით განახორციელოს სარემონტო, სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები მხოლოდ წინამდებარე მუხლში ასახული ფართის ტერიტორიაზე. (ფართი მდებარეობს ქ.თბილიში, აღმაშენებლის გამზირი №115, საკ.კოდი № 01.13.08.005.050.01.503
4. რწმუნებულს უფლება აქვს მარწმუნებლის სახელით წარადგინოს და გამოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, ქ.თბილისის მერიდიან და გამგეობებიდან, რომელიც დაკავშირებულია სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებთან. რწმუნეული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს და პირადად ჩაიბაროს ნებისმიერი სახის ნებართვები და შეთანხმებები.
5. რწმუნებულს უფლება აქვს სრული მოცულობით გადასცეს წინამდებარე მინდობილობაში ასახული უფლებები მესამე პირებს (როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებს).
6. წინამდებარე მინდობილობა ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მომდევნო 2 (ორი) წლის ვადით.

შპს "ღები"-ის დირექტორი ფრიდონ გოგრიჭიანი
